

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

2014 წლის 27 ოქტომბერი

დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების სსიპ „ვაჟა ფშაველას სახლ-  
მუზეუმისათვის“ უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

სსიპ „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი“ ექვემდებარება კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ხოლო არსებული უძრავი ქონება არის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრება, რის გამოც ვერ ხერხდება სახლ-მუზეუმის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის განხორციელება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61- ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე ქვეპუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:**

1. გადაეცეს სსიპ „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს“ დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება.

ა) სოფელ ჩარგალში მდებარე უძრავი ქონება (მიწის უძრავი ქონების ) საკადასტრო კოდი N 71.60.28.113 და უძრავი ქონება საკადასტრო კოდი N 71.60.28.114.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა (ვაჟა ჩოხელმა) უზრუნველყოს ქონების გადაცემა შესაბამისი აქტის გაფორმებით.

3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.